საქართველო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საკრებულოს წევრი
GEORGIA
Rustavi Municipality City Assembly
Member of Assembly

N 16169-02
30/10/2019

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ქალბატონ სოფიო კარანაძეს

ქალბატონო სოფიო,

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს ორგანული კანონის 88-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

გთხოვთ უზრუნველყოთ ინფორმაციის გამოქვეყნება.

დანართი: 4 ფურცელი

პატივისცემით,

გურამ ფირცხალაიშვილი

საკრებულოს წევრი
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო, რუსთავი, 3700, კოსტავას 20; ელ.ფოსტა: info@rustavi.ge
Georgia, Rustavi, 3700, Kostava ave. 20. email: info@rustavi.ge

საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**გურამ ფირცხალაიშვილი**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2018 – 01.11.2019
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი; 2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი

- **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

  საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა (12 რიგითი, 14 რიგგარეშე)

  საკრებულოს სხდომებზე დასწრება: 26 სხდომა

  ბიუროს სხდომების რაოდენობა: 26 სხდომა

  ბიუროს სხდომებზე დასწრება: 26 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

დადგენილება - 74

განკარგულება - 162

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

ა) კომისიები:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

ჩატარდა - 19 სხდომა;

დასწრება - 19 სხდომა;

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიია

ჩატრადა - 18 სხდომა

დასწრება - 18 სხდომა

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“

ჩატარდა - 2 სხდომა

დასწრება - 2 სხდომა

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცება;

გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მიზნით მუნიციპალიტეტის საკუთღებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2018 – 2019 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები.

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

1. მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის (ლეგალიზაცია) წევრი;

2. ელექტრონული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის წევრი;

3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადებათა კონტროლის, კატასტროფების რისკის შემცირების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიზნობრივად გამოყენების თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრი;

4. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სხამგზავრო გადაყვანებზე კონკურსის პირობების შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი;

- **საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ აქტიურად იყო ჩართული 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში, სადაც ფრაქციის წევრების ინიციატივით არაერთი წინადადება იქნა წარდგენილი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: გზების რეაბილიტაცია და სხვა სამრეწველო თუ ინფრასტრუქტურული ღონისძიებები.

მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.

ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს პრიორიტეტებია: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ჯანსაღი კონკურენციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ფრაქცია მიიჩნევს, რომ ეკონომიკის გასაძლიერებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

რუსთავში ძლიერი, დინამიური, მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული თვითმმართველობაა. ქალაქში მიმზიდველი გარემოა მეწარმეობის ფართო სპექტრის განვითარებისთვის დასაქმების შესაძლებლობებით. შექმნილია რეგიონული დონის პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ცენტრები.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველებმა“ 2018 წლის 01 ნოემბრიდან 2019 წლის 01 ნოემბრამდე პერიოდი წარმატებით დაასრულა და მე, როგორც ფრაქციის თავმჯდომარე, კვლავ გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას.